არ მეყოფა მზერა,
მაგრამ რა ვქნა, მაინც
სიყვარულის მჯერა!

შეჯერებით გულზე
ხელს დავიკრეფ განა?
მეც იქა ვარ, სადაც
მწვერვალები დგანან.

მეც იქა ვარ, სადაც
ფეთქავს შენი გული —
სულ პატარა ლექსის
პწკარში შეხიზნული.

სულ პატარა, როგორც
ბწკალი ნამლევ მთვარის,
დიდ რუკაზე შენი
მიწა-წყალიც არის!..

მთაგორები რბენით
მოვიარო მინდა,
საზეიმოდ ბრწყინავს
ცის ლაჟვარდი წმინდა!

განა მხოლოდ ზეცა,
განა მხოლოდ მთები, —
ზღვის ნაპირიც მიყვარს,
ზღვის ტალღებშიც გზვდები...

და ვიმღერი ისევ
ამ სიმღერას მაშინ,
რომ ჩემი ხმაც იყოს
ზღვის ბობოქარ ხმაში!

ჩემს მღელვარე ფიქრებს
მეც მივაყვები ცამდი,
ისევ ისე მწამხარ,
ისე როგორც მწამდი!

აფხაზეთო ჩემო!
ჩემო ტკბილო დედავ.
ქვეყნის ყოველ კუთხეს
შენი თვალით ვხედავ.

მხოლოდ შენი ენით,
შენი გულის ძგერით
გამარჯვების ახალ
გზებზე მივიმღერით!

აქ პირველად ვნახე
შენი დროშის ფერი,
შრომაც ვნახე, ძმობაც
გულმტკიცე და რწყილი.

აქ ავიდგი ფეხი,
საყვარელო ჩემო.
და ცხოვრებას აქვე
გავუსინჯე გემო.

ომიც ვნახე დიდი,
გამარჯვება გმირთა.
ერთგულება ახლა
მე შეგფიცო მინდა:

სულ პატარა ზღვაო,
სულ პატარა მიწავ,
შენს დღესა და ღამეს
ყოველ სუნთქვით ვიცავ!

აფხაზეთო ჩემო,
ჩემო ტკბილო დედავ,
ჩემს პატარა გულში
ეტევოდე ნეტავ!

თარგმნა **ალალო ალალაძემ.**

ჩვენი პირობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი.
1961 წლის 3 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა გაქვითვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების რესპუბლიკური გაერთიანების — „საქსოფლტექნიკის“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“, რომელიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიაყიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სათადარიგო ნაწილებს, მინერალურ სასუქებსა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, უზრუნველყოფს მანქანების რემონტის ორგანიზაციასა და ამოყენებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1961 წ. 28 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარედ ამხ. ი. მ. ხოხლოვის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. ივანე მიხეილის-ძე ხოხლოვი საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1961 წ. 28 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. რესპუბლიკის სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში მომუშავე ფარმაცევტული კადრების წახალისების მიზნით დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს სულ ცოტა 20 წელი და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში პრაქტიკული მოღვაწეობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1961 წ. 28 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. მ. ჰუმბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავთან დაკავშირებით, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის თარგმნის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს მწერალი-ირისტო მაქსიმეს-ძე ჰუმბაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1961 წ. 28 თებერვალი.

მეგობრები ერთმანეთს სწავლობენ

თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

„თქვენ მეზობლები ხართ და, რა თქმა უნდა, კარგად იცით, როგორ მიდის საქმეები და რა წარმატებებს აღწევს თვითეული თქვენი რესპუბლიკა, მაგრამ ნება მიბოძეთ გულახდილად გითხრათ, რომ თქვენ გამოცდილების გაზიარებისა და საერთო ამოცანების ერთად განხილვისათვის არც თუ ისე ხშირად ხედებით ერთმანეთს, თუმცა ასეთი შეხვედრები სასარგებლოა ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით“.

ამ სიტყვებით მიმართა ამხანაგმა ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებს.

ერთი თვეც არ გასულა ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ და საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი. მათ განიხილეს პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხი.

მაგრამ ეს კრება არ იყო ჩვეულებრივი. მის მუშაობაში თბილისის მოწინავე ადამიანებთან ერთად მონაწილეობდნენ მოძმე რესპუბლიკების დელეგაციები — რიგის, ბაქოსა და ერევნის მშრომელთა წარმომადგენლები. რიგელები აქ ჩამოვიდნენ, რათა გაეგრძელებინათ უკვე ტრადიციად ქცეული შეჯიბრება ლატვიისა და საქართველოს დედაქალაქებს შორის. ხოლო ბაქოსა და ერევნის მშრომელებმა გამოგზავნეს დელეგაციები — საფუძველი ჩაეყარათ სოციალისტური შეჯიბრებისათვის სამი მეზობელი რესპუბლიკის დედაქალაქებს შორის.

შეკრებილთა საერთო აზრი გამოხატა მომხსენებელმა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ფეგეშიძემ**, როდესაც აღნიშნა, რომ თბილისის მშრომელები, მთელი ქართველი ხალხი უსაზღვროდ მადლობელი არიან ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვისა ძვირფასი რჩევა-დარიგებისა და ნითითებებისათვის. ამ მითითებათა საფუძველზე დღეს სწორდება ხარვეზი, რომელიც არსებობდა სამი მეზობელი რესპუბლიკის დედაქალაქების ურთიერთობაში, საფუძველი ეყრება მათ შორის სოციალისტურ შეჯიბრებას.

— ჩვენ ბედნიერები ვართ, — თქვა ლატვიის დედაქალაქის დელეგაციის ხელმძღვანელმა, პარტიის რიგის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ვ. ლეინმა**, — რომ შესაძლებლობა მოგვეცა დავსწრებოდით აქტივის კრებას, სადაც საფუძველი ჩაეყარა მომავ ქალაქების სოციალისტურ შეჯიბრებას.

ბაქოს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ტ. ალიევერდიევმა** და ერევნის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ს. ვართანიანმა** აზერბაიჯანისა და სომხეთის დედაქალაქების მშრომელთა სახელით გულთბილი სალამი გადასცეს თბილისელებს.

კრების დამთავრების შემდეგ თბილისის, რიგის, ბაქოსა და ერევნის მშრომელთა დელეგაციებმა ხელი მოაწერეს 1961 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.

ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

კიევი, 1 მარტი. (საკდესი). უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი ამა წლის 28 თებერვლის ბრძანებულებით ვ. ვ. შჩერბიცკი დანიშნა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ნ. ტ. კალჩენკო გაათავისუფლა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

პანიკა კონგოელი ხალხის მოღალატეთა განაკში

კუგა არ დათმოგს თავისუფლებას

ვაშინგტონი, 1 მარტი (საკდესი). დღეს აქ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის მორიგი პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციის მსვლელობაში პრეზიდენტს მისცეს მრავალი კითხვა განიარაღების პრობლემისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ. უპასუხა რა ამ კითხვებზე, კენედიმ განაცხადა, რომ, მისი აზრით, პირველი ნაბიჯი განიარაღებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში იქნება ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოლაპარაკების განახლება 21 მარტს ქენევაში. კენედიმ თქვა, იმედი მაქვს ეს მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება.

შემდეგ კენედიმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს წინანდებურად განზრახული აქვთ მიაღწიონ ისეთ მდგომარეობას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, რომელიც გააძლიერებს მშვიდობის შენარჩუნების იმედს. კენედიმ თქვა, მე და ჩემი მთავრობა ვეძებთ და კვლავაც მოვძებნით ეფექტიან გზებს, რომლებიც მიგვიყვანენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მოწესრიგებამდე, აგრეთვე განიარაღების საერთო პრობლემის თანდათანობით გადაჭრამდეო.

ამასთან დაკავშირებით კორესპონდენტებმა სთხოვეს კენედის გამოეთქვა „აზრი პრეზიდენტის მრჩევლის განიარაღების საკითხებზე მაკლოის განცხადების შესახებ“ (მაკლოიმ 25 თებერვლის სატყვაში გაიკეთა განცხადება, რომელიც პრესამ მიიჩნია მოწოდებად განაგრძონ განიარაღებაზე უარის თქმის ძველი, ეიზენჰაუერის პოლიტიკა).

ინგლისის პრემიერი ცდილობს გაამართლოს გელგიის მთავრობა

პრეზიდენტი „ეძებს“ ეფექტიან გზებს

კენედის პრეს-კონფერენცია

პრეზიდენტ კენედის პასუხი ამ კითხვაზე ფაქტიურად წარმოადგენს მაკლოის გამოსვლის დეზავუირებას. კენედიმ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ამჟამად ჯერ კიდევ განაგრძობს თავისი პოზიციის შემუშავებას განიარაღების საკითხებზე და რომ ამიტომ ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი იქნება ეს პოზიცია. კენედიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაკლოის სიტყვაში ვერ ხედავს განიარაღების საკითხზე მთავრობის პოზიციის გაშუქებას, რამდენადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ჯერ კიდევ არ დაუფორმულებიათ თავიანთი პოლიტიკა ამ საკითხში და არ დაუფორმულებენ მას, როგორც კენედიმ აღნიშნა, მომდინარე წლის ზაფხულამდე.

განიარაღების საკითხზე თავისი პასუხის დასასრულს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პროგრესი მის გადაჭრაში დამოკიდებული იქნება ორივე ქვეყნის „კეთილ ნებასა“ და მათ სურვილზე რეალისტურად მიუდგნენ განიარაღების პრობლემის გადაჭრას.

თავის შემდგომ პასუხში კენედიმ განაცხადა, რომ მიესალმება საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერებს შორის თანამშრომლობის დამყარების ყველა ღონისძიებას, კერძოდ კოსმოსის ათვისების დარგში. ამასთან კენედიმ აღნიშნა, რომ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი აწარმოებენ მოლაპარაკებას იმის შესახებ, რომ გაუმჯობესდეს და გაფართოვდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის პროგრამა კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგში.

ამავე დროს პრეს-კონფერენციის მსვლელობაში კენედიმ გააკეთა მთელი რიგი განცხადებანი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ განმტკიცონ და გაადიდონ თავიანთი შეიარაღებული ძალები საზღვარგარეთ, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა მის ნათქვამს განიარაღების პრობლემის შესახებ და მის განცხადებას, რომ ისწრაფვის გაუმჯობესონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა.

უპასუხა რა ერთ-ერთი კორესპონდენტის თხოვნაზე გამოთქვას ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება უკანასკნელი აქციებისადმი კონგოში, კენედიმ განაცხადა, რომ მდგომარეობა იქ მეტად მერყეული. პრეზიდენტი მიესალმა უშიშროების საბჭოს მიერ ამ დღეებში მიღებულ ახალ ინსტრუქციებს კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობისადმი და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოელიან მათ შესრულებას.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა სთხოვა პრეზიდენტს გამოეთქვა თავისი აზრი მთელი რიგი ამერიკელი ეკონომისტების ამასწინანდელ განცხადებათა გამო, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიური მდგომარეობა ამერიკაში თითქოს აღარ უარესდება და დაისახა გაუმჯობესების ტენდენცია.

კენედიმ უარყო ეს თვალსაზრისი. მან განაცხადა, რომ ამგვარი წინასწარმეტყველება და დასკვნები მეტად ნაადრევია. ჩვენში კვლავ არის მრავალი ასეული ათასი ადამიანი, თქვა პრეზიდენტმა, რომელთა არსებობა მთლიანად დამოკიდებულია უმუშევრობის დახმარებაზე, ხოლო რამდენიმე მილიონ ამერიკელს კვლავ ვერ უშოვია სამუშაო.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში კენედიმ განაცხადა, რომ კანცლერი ადენაუერი 12 აპრილს ორი დღის ვიზიტად ჩავა ვაშინგტონში „შეხედულებათა გაზიარებისათვის“.

ტელეგრამა გვატყობინებს

უილიამსი ჩომბეს და მობუტუს განიარაღების წინააღმდეგია

პარიზი, 8 მარტი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე აფრიკის საქმეებში მენენ უილიამსი ლეოპოლდვილში გამართულ პრეს-კონფერენციაზე არსებითად მობუტუს და ჩომბეს ბანდების განიარაღების წინააღმდეგ წავიდა.**

როგორც ფრანს პრესის საგენტო კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, უილიამსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეგრეთწოდებული „კონგოს ეროვნული არმიის“ განიარაღება მხოლოდ „უკიდურეს შემთხვევაში“ უნდა მოხდეს.

უპასუხა რა კითხვაზე კონგოში ბელგიელთა ყოფნის შესახებ, უილიამსმა განაცხადა, ზოგიერთი მათგანის ყოფნა უთუოდ გამართლებული და სასარგებლოა.

სალვადორის მმართველების შავი გული

მავანა, 8 მარტი. (საკდესი). **როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, სალვადორის სამხედრო პროგრესიულისტურმა ხუნტამ მიიღო გადაწყვეტილება კუბასთან „ურთიერთობის გაწყვეტის“ შესახებ. ამასთან დაკავშირებით კუბის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ არ შეიძლება არ არსებუალი ურთიერთობის გაწყვეტა.**

კუბას, ხაზგასმულია განცხადებაში, არ უცნია და არცა ცნობს სალვადორის ანტიხალხურ რეაქციულ რეჟიმს, რომელიც დამყარდა სამხედრო სახელმწიფოებრივი გადატრიალების შედეგად.

ახალი დანიშვნები თურქეთში

ანკარა, 2 მარტი. (საკდესი). დღეს აქ პრეს-კონფერენციაზე თურქეთის საგელმწიფოსა და მთავრობის მეთაურმა გენერალმა ჯემალ გიურსელმა გამოაცხადა ახალი დანიშვნები მთავრობაში.

ეროვნული ერთიანობის კომიტეტის წევრი ფაჰრი ოზდილეკი დანიშნულია პრემიერ-მინისტრის მოადგილედ, ეროვნული ერთიანობის კომიტეტის წევრი სიტკი ულ

ამბები, ცნობები, ფაქტები

ხალხური შემოქმედების ზეიმზე

1.

დიდ ინტერესს, ცხოველ გამოხმაურებას იწვევს მაყურებლებში მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტები, რომლებიც საბჭოთა საქართველოს მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

1 მარტს ოლიმპიადის მორიგი კონცერტი გაიმართა. ამ დღეს თავიანთი შემოქმედება გვიჩვენეს: გეგეჭკორის, ბოგდანოვკის, ასპინძის, ახმეტის, ყვარლის, თერჯოლის, სამტრედიისა და მახარაძის რაიონების, აგრეთვე ქალაქ ფოთის თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

თბილად მიიღო მაყურებელმა გეგეჭკორის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელები: გ. ხუჭუა და ე. კიკალეიშვილი) მიერ შესრულებული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული მონტაჟი „ჯარიანობა ჩვენში". წარმატება ხვდა ძველებურ ლირიულ სიმღერას „მხოლოდ შენ ხარ", რომელიც კოლექტივთან ერთად გულში ჩამწვდომად იმღერა პედაგოგმა გ. ფარულავამ.

„განახლებული ასპინძა", — ასე ჰქვია კომპოზიტორ ვ. ცაგარეიშვილის სიმღერას, რომლითაც დაიწყო თავისი გამოსვლა ასპინძის რაიონის კულტურის სახლის ანსამბლმა.

ახმეტის რაიონული სახლის ანსამბლის გამოსვლიდან აღსანიშნავი იყო ქისტური ხალხური მასობრივი ცეკვა. ყვარლის რაიონის გუნდის მიერ შესრულებულ ნაწარმოებთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვა სიმღერა „ჩაკრულომ" და ცეკვა „ფერხულმა". თერჯოლის რაიონიდან — ხალხურმა სახუმარო სიმღერამ „პატარა სიმონიამ" და კომპოზიტორ შ. მილორავას სიმღერამ „სალამი თბილისს". კარგი იყო ქ. ფოთის კულტურის სახლის ანსამბლის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერა „მაგნოლია", მასობრივი ცეკვა „ფარცა" და სამტრედიის კულტურის რაიონული სახლის კოლექტივის ქორეოგრაფიული მონტაჟი „მტრედის ნათლულო ქალაქო".

განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა კონცერტზე მახარაძის კულტურის რაიონული სახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა, რომელიც მაყურებელს წარუდგა კარგად დამუშავებული ცეკვებით და სიმღერებით. მჭუხარე ტაშით დაჯილდოვა მაყურებელმა ძველებური ცეკვა „ფარცა კუკუ" და „ქალმახობა", აგრეთვე სიმღერები „სუფრული ხელხვავი" და „ხასანბეგურა".

ინდივიდუალური შემსრულებლებიდან გამოირჩეოდნენ ახმეტის რაიონიდან — ა. ქაადე და მთქმელი ა. ჩანგა-

შვილი; ყვარლის რაიონიდან ძმები ბ. და თ. ქევხიშვილები, ე. ავაზაშვილი და ი. ოსიშვილი.

ამ კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები გ. ს. ძოწენიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუბაკა.

2.

მოუთმენლად ელოდა თბილისის მაყურებელი მზიური აპარის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების გამოსვლას. 3 მარტს ხალხით გაიჭედა ოპერის თეატრი. კონცერტი დაიწყო ბათუმის სადგილობრივი მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლით. შესრულებულ იქნა კომპოზიტორ გ. ცაბაძის სიმღერა „სალამი თბილისს" (სიტყვები გ. სალუქვაძისა), კომპოზიტორ რ. ლადიძის „სიმღერა ბათუმზე" (სიტყვები ქ. ხალვაშისა), ლაზური და მთიულური ცეკვები.

ქობულეთის რაიონიდან სოფელ კვირიკეს კლუბის წევრებმა და-ძმა მაროპულოებმა კარგად შეასრულეს სიმღერა კინოფილმიდან „ქალიშვილი შავებში". ამავე რაიონიდან გამოვიდა სოფელ ქიქუთის საკოლმეურნეო კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის მიერ შესრულებული „კალმახობა" და „ფერხული" განსაკუთრებით მოიწონა მაყურებელმა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის კულტურის სახლის ანსამბლმა და ხარაიონო ანსამბლმა.

ხულოს რაიონი კონცერტზე გამოვიდა ხიხაძირის კულტურის სახლისა და აჭარაოპკავშირის კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მხატვრული თვითმოქმედი ძალებით. კარგი იყო ცეკ-

ვები „ოი ნანა" და „ზეიმი აჭარაში", ხოლო სიმღერებიდან — „შავი ზღვა" და „საქართველო".

კონცერტის მეორე განყოფილებაში მხურვალე ტაშით შეხვდა მაყურებელი ქ. ბათუმის მასწავლებელთა სახლის მომღერალთა გუნდს. (ხელმძღვანელი ვ. გოგიტიძე), რომელმაც შეასრულა ხალხური სიმღერა „იავნანა".

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა შუახევის რაიონის სოფელ ჭვანას კულტურის სახლის ხალხურმა მთქმელმა თ. ქათამაძემ.

დასასრულ გამოვიდნენ სოფელ კვირიკეს სასოფლო კლუბის ძალები ქართული ხალხური მელოდიებით (შემსრულებლები ი. ვერულაძე, დ. კაიკაციშვილი, ს. ცერცვაძე) და ქობულეთის კულტურის რაიონული სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. კარგად მიიღო მაყურებელმა ძველებური ხალხური მელოდია „ორნანო".

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები პ. ვ. კოვანოვი, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუბაკა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. მ. მამულაძე.

მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკური ოლიმპიადა. სურათებზე: აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების გამოსვლა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და ბ. დადვაძისა.

საკლასის ცხრაკა

ტრაექტორიის გაზომვათა იმ მონაკვეთის დამუშავებამ, რომელიც [illegible] მიღებულია ბალისტიკურ სანაგებში, დადგენილია, რომ ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ფრენა [illegible] ვენერისაკენ გრძელდება ტრაექტორიით, რომელიც გაანგარიშებულს უახლოვდება.

1961 წლის 3 მარტს 12 საათზე მოსკოვის დროით სადგური იქნება 6.683.600 კილომეტრ მანძილზე დედამიწის ზედაპირიდან, იმ წერტილის თავზე, რომლის კოორდინატებია სამხრეთის განედის 1 გრადუსი და 15 მინუტი და აღმოსავლეთის გრძედის 69 გრადუსი და 30 მინუტი. დედამიწისაგან საპლანეტათშორისო სადგურის დაშორების სიჩქარე ამ დროს წამში 4.166 მეტრი იქნება. ცის სფეროში საპლანეტათშორისო სადგურ კვლავ არის თევზისა და ვეშაპის თანავარსკვლავედთა საზღვარზე, თითქმის სწორ ხაზზე, რომელიც აერთებს ვარსკვლავებს ბეტა ვეშაპსა და ალფა ანდრომედას.

საპლანეტათშორისო სადგურის პირდაპირი ზეასვლა ამ დროისათვის იქნება 0 საათი, 21 წუთი და 31 წამი, დახრილობა მინუს 1 გრადუსი, 15 მინუტი და 3 სეკუნდი.

ტელემეტრიული ინფორმაციის დამუშავებამ ცხადყო, რომ სადგურის სისტემები და აგრეგატები კაშორის მოწყობილი სეანსების დროს ნორმალურად მუშაობდნენ. ამასთან აღნიშნული იყო, რომ ტემპერატურა და წნევა სადგურში განგარიშებულის ფარგლებში იყო, ხოლო მზის ბატარეები უზრუნველყოფდნენ დენის ქიმიური წყაროების ნორმალურ დამუხტვას. მზის ორიენტაციის სისტემა მდგრადად მუშაობდა.

1961 წლის 27 თებერვალს ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურთან კავშირის დამყარება არ მოხერხდა.

შემდგომ დღეებში, იმ დროის განმავლობაში, სანამ სადგური საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან პირდაპირი ხილვადობის ზონაშია, გაგრძელდება მუშაობა ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურთან რადიოკავშირის დასამყარებლად.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲠᲔᲠᲘᲢᲘ

სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმმა საბოლოოდ დაადგინა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონს მ. ტალსა (რიგა) და მსოფლიო ექს-ჩემპიონს მ. ბოტვინიკს (მოსკოვი) შორის მატჩ-რევანშის ვადა, რომელიც მოსკოვში გაიმართება საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის დავალებით. ეს შეჯიბრება დაიწყება 15 მარტს.

როგორც წინა მატჩში, უნდა გათამაშდეს 24 პარტია. სამ-სამი ყოველ კვირას — ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკევობით. დაუმთავრებელი პარტიები გათამაშდება სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით.

დამტკიცებული რეგლამენტის თანახმად გროსმაისტერმა მ. ტალმა მსოფლიო ჩემპიონის წოდება რომ შეინარჩუნოს საკმარისია მატჩი ყაიმით დაამთავროს, ესე იგი მოაგროვოს 12 ქულა. გროსმაისტერმა მ. ბოტვინიკმა უნდა მოაგროვოს 12,5 ქულა, რომ დაიბრუნოს ეს წოდება.

ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲒᲖᲔ

მინსკის სპორტის მოყვარულები დიდი ასპარეზობის მოწმენი არიან. აქ დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში მჩატე, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის.

პირველ წონაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ზ. მჭედლიშვილმა, ა. მაისურაძემ, ა. მეყრილაძემ და ვ. არსენიძეა თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს. მათ დაამარცხეს კეპინი, მოროზოვი, ბეკიევი და ივანოვი. ზ. მჭედლიშვილმა და ა. მაისურაძემ წმინდა გამარჯვება მოიპოვეს.

მსუბუქ წონაში წარმატებითი სტარტი აიღეს ი. კოშკაძემ და ა. მახარაძემ. მათ გაიმარჯვეს საზონოვთან და ა. გვიმრაძესთან.

საშუალო წონაში ყურადღების ცენტრში იდგა ვ. ბალავაძისა და გ. სხირტლაძის ორთაბრძოლა. პასიური ჭიდაობისათვის მსაჯთა კოლეგიამ ორივე მოჭიდავეს დამარცხება ჩაუთვალა.

მძიმე წონაში სსრ კავშირის ჩემპიონი ო. კახდელაკი ქულებით დამარცხდა მედვედევთან (ბელორუსია), ა. კიკნაძემ წმინდა გამარჯვება მოიპოვა სნიტკოსთან შეხვედრაში.

გუშინ სხირტლაძემ ორი წმინდა გამარჯვება, მოიპოვა კოჩიევთან და ვართანოვთან, არსენიძემა მოუგო მჭედლიშვილს, ბალავაძემ ფრედ დაამთავრა შეხვედრა საართან.

ᲢᲐᲚ-ᲒᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲢᲩ-ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ შეჯიბრების მთავარ არბიტრად დაამტკიცა საერთაშორისო გროსმაისტერი გ. შტალბერგი (შვეიცარია), მსაჯად საერთაშორისო ოსტატი ჰ. გოლომბეკი. (ინგლისი).

Ბ. ᲒᲣᲠᲑᲔᲜᲘᲫᲔ — ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲖᲔ

2 მარტს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოიწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ორი გადადებული პარტიიდან ბ. გურგენიძემ ერთნახევარი ქულა შეაგროვა. მან დაამარცხა ჯ. ბერაძე და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა თ. ლომაიასთან. გ. ყალატოზიშვილმა ორი გადადებული პარტიიდან მ. შიშოვთან და ე. მიქაელიანთან ორივე წაგო. ა. ბუსლაევისა და ა. ბრეიტმანის გადადებულ პარტიაში უკანასკნელმა არაზუსტი თამაშის შედეგად მატერიალური ზარალი განიცადა და დანებდა. ა. ბუსლაევ-დ. ჯანლოვისა და გ. ბამრეკელ-გ. ეგიაშვილის პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ა. ოზვოზჩიკოვმა დაამარცხა მ. შიშოვი.

ათი ტურის შემდეგ ლიდერია ე. გეფელი, რომელსაც 10 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ოსტატი ბ. გურგენიძე (9 ქულა). მომდევნო ორ ადგილს რვა-რვა ქულით იყოფენ ლ. შტეინი და ა. ბუსლაევი. მეხუთე ადგილზეა გროსმაისტერი რ. ბოლმოვი (7,5 ქულა).

დღეს გაიმართება მე-11 ტური.

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა კოლექტივმა მატჩი გამართა ერევანში „სპარტაკის" წინააღმდეგ. შეჯიბრებაში, რომელსაც 25.000-მდე მაყურებელი ესწრებოდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. სტუმართა შემადგენლობაში იყვნენ: იაშინი, მედაკინი, ნეტო, ჩოხელი, ვორონინი, მანომინი, მეტრეველი, ივანოვი, ჰონდელიკი, ბატანოვი, ჰუსაინოვი (ლობანოვსკი).

გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 2:1.

2 მარტს ჩვენი ქვეყნის ნაკრები თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა. თბილისის დინამოელებიდან მათ გაჰყვნენ მ. მესხი და გ. ჩოხელი. გუნდს გეგმაში აქვს ტურნე ჰოლანდიაში, სადაც მატჩს შუა რიცხვებამდე გამართავს სამ საერთაშორისო ასპარეზობას.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ

უვეიცარიაში დაიწყო მსოფლიო პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. აქ ერთმანეთს პირველობას ეცილებიან 23 ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდები. წინასწარი შეხვედრების შემდეგ დადგინდა სამივე ჯგუფის შემადგენლობა. პირველ ჯგუფში საბჭოთა ჰოკეისტებთან ერთად არიან — ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების, კანადა-შვეიცარიისა და ჩეხოსლოვაკია-ფინეთის გუნდების ასპარეზობამ.

საბჭოთა ჰოკეისტებმა წარმატებით ჩაატარეს ბრძოლა ამერიკელებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 13:2; კანადელებმა დაამარცხეს შვეიცარიის გუნდი 6:1 ხოლო ჩეხოსლოვაკიის გუნდმა — ფინელები 6:0.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

4 მარტი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა (მე-3 აბონ. მე-6 წარმ.), რუსთაველის სახელობის — პეპო, მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, გრიბოედოვის სახელობის — სახფათო ასაკი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს (რკინიგზელთა სახლში), სანკულტურის — პროფესორ დოუელის თავი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ნევის შევარდენი (აბონ. № 6., დილის 10 საათზე).

ტელევიზია: 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „გაცოცხლებული ნახატები", 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ცნობისმოყვარე ბავშვთა კლუბი", 19.00 — აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა, 19.45 — კინოვექტორინა, 20.25 — ახალი ამბები, 20.40 — ახალი მხატვრული ფილმი „ყაჩაღანა".

ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ...

მოთხრობა

როცა არლან უახიდან ომში წაიყვანეს, მისმა ახალგაზრდა ცოლმა სწორედ მაშინ იგრძნო, დედა უნდა გამხდარიყო. ომი ერთობ გაგრძელდა, ხუთ წელიწადს იბრძოდა არლანი, შემდეგ ტყვედ მოხვდა, ხოლო ტყვეობაში თხუთმეტი წელი დაჰყო — ერთ კეთილ კაცთან იყო მსახურად. ბოლოს იმ კაცმა გადაწყვიტა ტყვე შინ გაეშვა. გამომშვიდობებისას მხოლოდ ერთი რჩევა მისცა:

— ფული არა მაქვს, შენი ჯაფის საზღაური რომ მოგცე, მაგრამ რასაც გეტყვი, თუ კარგად დაიმახსოვრე, ცხოვრებაში ოქროზე მეტად გამოგადგება. საქმეს უცებ ნურასოდეს განსჯი. ჭკვიანი კაცი არ აჩქარდება: ჩქარა მხოლოდ კურდღელი დარბის. გული ყოველთვის ცხელი გქონდეს, თავი კი— ცივი.

არლანი მშობლიურ სოფელს მაშინ ეწვია, როცა ირგვლივ კუნაპეტი ღამე ჩამოწვა. შინ უმალვე როდი შევიდა: ფაცხას უკან ამოეფარა, ჩამოჯდა, კედელში, წნელებს შუა ჭუჭრუტანა მონახა და თვალთვალი დაუწყო. მღელვარებამ გულზე უხილავი ბორკელი დაადო. ცდილობდა არ ესუნთქა, მისი აქ ყოფნა რომ არავის გაეგო.

თაფლის სანთელი, წვრილად და გრძლად ჩამოქნილი, ბუხარში ანთებულ პატარა ცეცხლს ფაცხის განათებაში ეხმარებოდა. ნატყვევარმა უმალვე იცნო თავისი საყვარელი შაზინა. ვიწრო და დაბალ ტაბლასთან, ცოლის გვერდით მაღალი და ლამაზი ჭაბუკი იჯდა. შაზინა მას ვახშამს სთავაზობდა, თანაც ეალერსებოდა.

„საყვარელია" — შავი ცეცხლივით მოედო ეჭვი და კაცმა გაიფიქრა — გასცლოდა აქაურობას, გასცლოდა და შინ აღარასოდეს დაბრუნებულიყო. შემდეგ ეჭვისაგან გახელებულმა და თავგახურებულმა გადაწყვიტა: ცოლის საყვარელს მოვკლავ და შეუმჩნევლად გავიქცევიო.

კარზე ფრთხილად მიუკაკუნა:

— მგზავრი გახლავართ, გზაზე შემომაღამდა, თუ შეიძლება ღამე გამათევინეთ!

— სტუმარი ღვთისაა. მობრძანდით, მობრძანდით, — მიიწვიეს მასპინძლებმა და ვახშამი გულადად შესთავაზეს.

თუმცა ბევრი ემუდარნენ, ვახშამზე ცივი უარი თქვა. სანთელსა და ცეცხლს განერიდა, ბნელ კუთხეში ჩამოჯდა, ეშინოდა ცოლმა არ მიცნოსო. თან ყველაფერს აკვირდებოდა. მისი თითები მალიმალ დანის ტარს ეჭიდებოდა. ეწადა, ეს დანა ჭაბუკისათვის გულში ჩაეცა. მაგრამ ახალგაზრდა ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ ნატყვევარი ვერ ახერხებდა თავისი სისხლიანი ზრახვის შესრულებას.

„ეს ბიჭი ისეთივე მარდი და მოქნილია, როგორიც მე ვიყავი ჭაბუკობისას", — გაიფიქრა არლანმა.

წყალი მოითხოვა. ჭაბუკმა წყლის ნაცვლად ღვინო მიაწოდა. ის-ის იყო არლანს ღვინა სიხხლში უნდა გაესვარა, ახალგაზრდა ფოცხვერივით სწრაფად შეტრიალდა და გაშორდა.

უცებ არლანს კეთილი კაცის ნათქვამმა გონება გაუნათა: „არა-



სოდეს აჩქარდე, არასოდეს აჩქარდე"!

დაფიქრდა: „ჩემს ხელშია მთელი ღამე. უნდა შეავამოწმო ნათქვამი სიბრძნე. ოც წელიწადში ამის მეტი არაფერი შემიძენია და ამასაც ამაოდ ხომ არ გადავაგდებ?"

მასპინძლები სტუმარს ათას რამეს ეკითხებოდნენ. სურდათ გაეგოთ, ვინ იყო ან საიდან მოდიოდა. ნატყვევარი თხზავდა, იგონებდა, თავის ნამდვილ ვინაობას მალავდა. ბოლოს თვითონ იკითხა:

— დიდი ხანია რაც დაქორწინდით?

— რას ბრძანებთ?! — წამოიძახა შაზინამ.— ეს ჩემი შვილია! იგი დაბადებულიც არ იყო, ქალა ომში რომ დაეღუბა.

ქალს ცრემლი მოერია.

ჭაბუკმა დედას ალერსით ხელი მოხვია. დაანშვიდა...

ვეღარ მოითმინა არლანმა. ცოლთან მივიდა და გადაეხვია... დიდხანს ჩასცქეროდნენ ერთმანეთს თვალებში. სანთელი დაილია, ისინი კი უმზერდნენ და უმზერდნენ ერთმანეთს...

შემდეგ მამა შვილს მიუბრუნდა და უთხრა:

— საყვარელო შვილო, არასოდეს აჩქარდე! ყოველი საქმე ჯერ კარგად გაზომე, განსაჯე და ისე გაკეთე, თუ გინდა მარცხი არ მოგვივდეს. ჩქარა მხოლოდ კურდღელი დარბის!

თარგმანი აფხაზურიდან

ა. ბეწაძისა.

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲔᲑᲘ

- △ ვინც სტუმრად არ ყოფილა, სტუმრის ფასიც არ იცისო.
- △ ბუს ღმერთმა თვალები მისცა და — წამწამებიც გამომასხიო.
- △ გველს თავიხი ენა კლავსო.
- △ მწყემსი რჩევა-დარიგებას თავის კომბალს ეკითხებოდაო.
- △ ქვეყანას მზე ანათებს და კაცს ცოდნაო.
- △ უშრომელ ლუმას მწარე გემო დაჰკრავსო.



აფხაზეთის ასსრ. გაგრის სანაპირო.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

„ᲮᲐᲠᲐᲢᲐᲐᲜᲗ ᲙᲔᲠᲐ"

სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დასმა მაყურებელს უჩვენა მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა".

პიესა დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა, მხატვრულად გაფორმეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თ. გაგლოევმა და მხატვარმა ს. კოჩიევმა. მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ვ. კუტიდიმ, ქორეოგრაფი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. გაგლოევი.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. ცხვირაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. საჩალელი, ი. შერაზადაშვილი, მსახიობები ნ. ვამაკიძე, გ. ქოქოევი, თ. გასანოვა და სხვ.

ვ. მელქოევი.

„ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲜᲘ"

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს მიუძღვნა თავისი მორიგი პრემიერა—შალვა დადიანის პიესა „გუშინდელნი".

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ვ. მჭედლიძემ. მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ვერულეიშვილმა.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. როგავა, მსახიობები ვ. ქართველიშვილი, შ. მესია, გ. წერეთელი, ნ. კოხტაშვილი და სხვა.

ᲛᲡᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მწერლებს მრავლად შეუქმნიათ შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც ხშირად შეუმჩნეველი დარჩენილან სხვა ხალხების ფართო მკითხველისათვის. და აი ასეთ დროს მწერალს გვერდში უდგას მისი მესაიდუმლე, ფიქრებისა და ოცნების თანამოზიარე — მთარგმნელი.

ადვილი როდია აიღო წიგნი და თარგმნო. ვინ იცის, უხეიროო თარგმანს რამდენჯერ დაუსამარებია შესანიშნავი მხატვრული ქმნილებანი, ხოლო სრულყოფილს კი — მისთვის ახალი ელფერი და ლაზათი შეუმატებია.

სწორედ ასეთ შესანიშნავ მთარგმნელთა რიცხვს ეკუთვნის მწერალი არისტო ჭუმბაძე. მას, როგორც ბელეტრისტს, მხატვრული და დოკუმენტური ლიტერატურის მთარგმნელს, ჟურნალისტს, სამართლიანად აქვს მოხვეჭილი ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატის სახელი.

ჯერ კიდევ პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტს დიდი სიყვარული ამოძრავებდა ლიტერატურისადმი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი ენერგიულად შეუდგა მთარგმნელობის მოღვაწეობას. ახლა ქართველი მკითხველის წიგნის თაროს ამშვენებს მის მიერ ოსტატურად თარგმნილი ისეთი დიდი მწერლების ნაწარმოებები, როგორიც არიან: ლ. ტოლსტოი, სალტიკოვ-შჩედრინი, მ. გორკი, მ. შოლოხოვი, ანრი ბარბიუსი, მორის ტორეზი. ა. ჭუმბაძის შესანიშნავ თარგმანს ეკუთვნის ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი" (რომლის ოთხი ტომი უკვე მიიღო მკითხველმა). დასაბეჭდად არის გადაცემული მ. შოლოხოვის „გატეხილი ყაძირის" მე-2 წიგნი. გარდა ამისა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დავალებით ა. ჭუმბაძე მუშაობს ლ. ტოლსტოის უკვდავი ნაწარმოების „რომისა და მშვიდობიანობის" მე-3 და მე-4 ტომის თარგმანზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა. ჭუმბაძე დაბადების სამოცდაძეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით და მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის თარგმნის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვა საპატიო სიგელით.



ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია და ესაუბრა მას.

— მე რაც ცოდნა მომიღია, — განაცხადა მან, — ეს ჩემი ხალხისაგან, მისი წყალობით შემძენია. ამიტომ ჩემი მიზანი იყო ეს ნაყოფი ხალხისთვისვე დამებრუნებინა. სანამ პირში სული მიდგას შეეცდები ენერგიულად ვემსახურო ჩემს ხალხს, საბჭოთა საზოგადოებრიობას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80. სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-54, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, ილუსტრაციო — 8-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-03-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

УЭ 00946

საქართველოს კპ ცკ-ს ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.